# ამერიკელი კინორეჟისორი დევიდ ლინჩი თბილისში შეხვედრებს მართავს

19-11-2017 12:13

408




თბილისში იმყოფება ამერიკელი კინორეჟისორი დევიდ ლინჩი. ამ წუთებში ცნობილი რეჟისორი პარლამენტში შეხვედრას მართავს.

მას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, ასევე კულტურისა და განათლების მინისტრები ესწრებიან. შეხვედრაზე იმყოფებიან **დევიდ ლინჩის ფონდის** დელეგაციის წევრებიც.

საუბრის მთავარი თემა სწორედ საქართველოსა და **ლინჩის ფონდს** შორის სამომავლო თანამშრომლობაა.

განიხილება დევიდ ლინჩის საერთაშორისო კინემატოგრაფიული უნივერსიტეტის გახსნა საქართველოში, ასევე ლინჩის ვიზიტის დროს იგეგმება საერთაშორისო კინოფესტივალის პროექტთან დაკავშირებით დისკუსია. საუბარია ფართომასშტაბიან სოციალურ პროექტზე - ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებული პირებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამებზე.

იგეგმება ფართო აუდიტორიასთან შეხვედრები. გაიმართება მისი ფილმების ჩვენებაც.

# THE AMERICAN FILM DIRECTOR DAVID LYNCH IS HOLDING A MEETING IN TBILISI

The American Film Director David Lynch is in Tbilisi. At this moment the famous film director is holding a meeting in the Parliament.

He is hosted by the Chairperson of the Committee of Education, Science and Culture as well as the Ministers Culture and Education. The meeting is being attended by the members of the delegation of David Lynch Foundation.

The main topic of the negotiation is the future cooperation between Georgia and David Lynch Foundation. The opening of David Lynch Film School is under discussion, as well as during Lynch's visit an international film festival project will also be considered. The
broad-scaled social project is also being planned on the rehabilitation programs for the victims of car accidents. The plans of his visit include meetings with the public as well as his film screening will also be performed.